

## ანოტაცია

**თემის აქტუალობა:** დღეისათვის, მთელ მსოფლიოში კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე მცინვარების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მცინვარების სრულფასოვანი შესწავლისათვის, უმნიშვნელოვანესია, რომ მასზე ხდებოდეს მრავალწლიანი დაკვირვებები. მცინვარები წარმოადგენენ მტკნარი წყლის უდიდეს რეზერვუარებს მთელ დედამიწაზე, სწორედ ამიტომ იგი ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს.

საქართველოში საკმაოდ მნიშვნელოვანია მცინვარების კვლევა რადგან მათი დნობის ტემპი შესამჩნევად გაზრდილია რაც იწვევს ინტერესს, მათი კომპლექსურად შესწავლისა და ანალიზისათვის. მდინარე ენგურის აუზში წარმოდგენილია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მცინვარები, როგორც ფართობით ასევე რაოდენობითა და მოცულობით. ამ რეგიონში ძირითადად წარმოდგენილია და შესწავლილია ხეობის ტიპის მცინვარები, რომლებზეც წლების განმავლობაში ხდებოდა მუდმივი მონიტორინგი და კვლევა.

მცინვარების კვლევისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და ათვისება ამ სფეროში რადგან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები უკვე საკმაოდ დიდი წარმატებით იყენებენ და ნერგავენ მათ კვლევებში.

**მიზანი და ამოცანები:** თემის მიზანია ასახოს და მიაწოდოს ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს მდინარე ენგურის აუზის მცინვარების არსებული მდგომარეობის, მათი დინამიკის განსაზღვრისა და იმ ტექნოლოგიების შესახებ რომლებიც გამოიყენება დღევანდელ რეალობაში. თემის მიზანია ასევე მოახდინოს შედარება მცინვარების ძველ და ახალ მდგომარეობასთან რომელიც დაგვეხმარება განვსაზღვროთ სამომავლოდ მისი ცვლილების პროგნოზები.

**კვლევის ობიექტს** წარმოადგენს სვანეთის რეგიონში არსებული მდ. ენგურის აუზის მცინვარები.

**კვლევის შედეგი:** კვლევის შედეგად გამოვლინდა მიმდინარე წლებში ჩატარებული საველე და კამერალური კვლევის შედეგად არსებული მცინვარების მდგომარეობა, მათი დინამიკა და გავრცელების არეალი. ასევე კვლევებმა მოგვცა და დააყენა დღის წესრიგში ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მათი დაკვირვების წარმოება და უფრო დეტალური ინფორმაციების მიღება სამომავლოდ.

### **Annotation**

**Actuality of the topic:** At present, to study glaciers all over the world in the background of global climate change is very important. For Comprehensive study of glaciers, multi-year observations is essential. Glaciers are the largest reservoirs of fresh water over the earth, it is vital natural resource for our country.

It is very important to study Glaciers in Georgia because of their rate of ablation is significantly increased. Which leads to an interest for complex study and analysis. Within Riv. Enguri basin are represented one of the largest glaciers in Georgia – with area as well as with the amount and volume. In this region has been studied mostly valley-type glaciers, on which was was the constant monitoring and research for years.

To research glaciers an important factor is to establish and explore modern technologies in this sphere, as it has been very successfully used and established around the world within the researches.

**Goals and Objectives:** The goal of the topic is to reflect and provide information to interested stakeholders about riv. Enguri Basin glaciers, their dynamics and to identify those technologies which are used in modern reality. The aim of the topic is to compare the old and new situation of the glaciers that can help to define prognosis of future changes.

**Research Object:** riv. Enguri basin Glaciers.

**The result of the research:** After the generalization of the fieldwork results and the analysis of the literature, it was revealed current situation of the Glaciers, their dynamics and distribution area. Studies also allowed and put on the agenda monitoring with modern technologies to obtain more detailed information in the future.